



მწვანე საჩუქარი



საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო „მწვანე საჩუქარი“ ერთი იდეის გარშემო გაერთიანებულმა მეგობრებმა შექმნეს 2017 წელს. ეს იდეა მიემართებოდა გუნდის სურვილს, უფრო მეტად ეზრუნათ გარემოზე და ხელი შეეწყობა ნარჩენების მართვის სწორი მიდგომების დანერგვისთვის. „მწვანე საჩუქრის“ **სოციალური მისიაა**, გახადოს გარემოზე ზრუნვა ყველასთვის ხელმისაწვდომი. სოციალური საწარმო აგროვებს ქაღალდის ნარჩენს, უზრუნველყოფს მის გადამუშევას და გადამუშავებული ქაღალდით ქმნის მეორეულ, ეკო-დამზოგავ პროდუქტებს.



პროდუქცია

სოციალური საწარმო კორპორატიულ მომხარებლებს სთავაზობს მათ საჭიროებაზე მორგებულ შეთავაზებებს ბრენდირებულ ნივთებსა და საჩუქრების შეფუთვის მომსახურებას.


ამასთანავე, „მწვანე საჩუქარი“ ორგანიზაციებს სთავაზობს ქაღალდის ნარჩენების შეგროვების სერვისს. სოციალურ საწარმოსთან მეგობრობით, კომპანიებს შეუძლიათ, საკუთარ ოფისებში განათავსონ მწვანე ყუთები და შეაგროვონ ნარჩენი „მწვანე საჩუქართან“ ერთად. დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის საწარმო ნარჩენების შესაგროვებელ ყუთებსა და შეგროვებული ქაღალდის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

„მწვანე საჩუქარი“ მომხმარებელს სთავაზობს როგორც პროდუქტს, ასევე მომსახურებას. სოციალურ სანარმოში მზადდება სხვადასხვა სახეობის ეკო-მეგობრული ქაღალდის პროდუქტი, კერძოდ:

- საკანცელარიო მასალები (კონვერტები, ბლოკნოტები, ფლიპერები, საბეჭდი ქაღალდი, ბროშურები, სავიზიტო ბარათები, ფლაერები და ა.შ.)
- სხვადასხვა ზომის ქაღალდის ჩანთა
- ღვინის ჩანთები, თასებით ან ამოკვეთილი სახეალებით
- მცირე ზომის კოლოფები
- შესაფუთი ქაღალდი

სოციალური შედეგები

- შეგროვდა და გადაუშავდა 200 ტონამდე მაკულატურა
- ქაღალდის გადაუშავების შედეგად მოჭრას გადაურჩა დაახლოებით 3400 ხე
- ჩატარდა 50-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა ნარჩენების მართვის თემაზე სასწავლო დაწესებულებებსა და ახალგაზრდულ კლუბებში
- 150-ზე მეტ მემობარ (პარტნიორ) ორგანიზაციაში განთავსებულია ქაღალდის შესაგროვებელი მწვანე ყუთები
- სანარმოში დასაქმებულია 8 ადამიანი (არასრულ განაკვეთზე), ხოლო პერიოდულად დამატებით, საქმდება 10-მდე სტუდენტი



☎ +995 599 329 331
 ✉ Greengift.geo@gmail.com
 📘 <https://www.facebook.com/Greengift.Geo/>
 📍 ვ. თოფურიძის N8, თბილისი, საქართველო

